დანართი N1

„დამტკიცებულია"
სსიპ კოლეჯის „მერმისი" დირექტორის
2021 წლის 09.07. № 04-259 ბრძანებით

ცვლილება 2024 წლის 27.08. № 04-198 ბრძანება

სსიპ - კოლეჯის „მერმისი"
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
აპლიკანტთა შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების შესაბამისად განსაზღვრავს სსიპ - კოლეჯ „მერმისში" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა შერჩევის წესსა და პირობებს.

საკითხები, რომლის რეგულირებაც განსაზღვრული არ არის წინამდებარე წესით, რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების, ასევე სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კოლეჯი - სსიპ - კოლეჯი „მერმისი".

ბ) მინისტრი - **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი.**

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – (შემდგომში - **„პროგრამა"**) ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სსიპ – კოლეჯში ,,მერმისი" შემუშავებული და დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

გ) **აპლიკანტი** – პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული საბაზო ან საშუალო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ დაშვების წინაპირობებს, დარეგისტრირებულია კოლეჯში და სურს სწავლის გაგრძელება სსიპ კოლეჯის „მერმისი" მიერ გამოცხადებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

დ) **პროფესიული სტუდენტი** - (შემდგომში - **„სტუდენტი"**) პირი, რომელიც დადგენილი პროცედურების (ტესტირება ან/და აპლიკანტების შერჩევა) გავლის შემდგომ ჩაირიცხა კოლეჯში;

ე) **აპლიკანტების შერჩევა** - კოლეჯის მიერ გამოცხადებულ პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასება წინამდებარე წესის მიხედვით;

ვ) **საკონკურსო კომისია** - კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტით შექმნილი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია წარმართოს აპლიკანტთა შერჩევის პროცესი;

ზ) **მინიმალური კომპეტენციის ზღვარი** - ქულათა მინიმალური რაოდენობა, რომლის ვერ გადალახვის შემთხვევაში პირი კარგავს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პროგრამაზე დარჩენილია მისაღები თავისუფალი ადგილები;

თ) **მოტივაციური გასაუბრება** - აპლიკანტის შერჩევის მიზნით, მასთან ზეპირი გასაუბრება წინასწარ შემუშავებული კითხვების საშუალებით, მისი მოტივაციის შეფასებისათვის;

ი) **შემოქმედებითი ტური** - აპლიკანტთა შერჩევის მიზნით მათ მიერ პრაქტიკული დავალების შესრულება;

კ) **მინისტრი** - საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრი;

ლ) **კოლეჯის დირექტორი** - სსიპ კოლეჯის „მერმისი" დირექტორი;

მ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული აქტი (შემდგომში - **„ბრძანება"**);

ნ) **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი** - (შემდგომში - **„სსსმ პირი"**), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი - ინტელექტუალური და განვითარების დარღვევის ან/და სენსორული (სმენისა და მხედველობის) ან/და ქცევითი და ემოციური დარღვევის ან/და ფიზიკური შეზღუდვის მქონე, ან/და სწავლის გამოხატული სირთულეების მქონე აპლიკანტი, რომლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დასტურდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ და რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს შერჩევას ალტერნატიული წესით;

ო) **სააპელაციო კომისია** - აპლიკანტების შერჩევის პროცესში დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი საპრეტენზიო განაცხად(ებ)ის განხილვის მიზნით შექმნილი დროებითი ორგანო;

პ) **პროფესიული ტესტირება** – სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – **„ცენტრი"**) მიერ ორგანიზებული ტესტირება (შემდგომში – **„ტესტირება"**).

ჟ) **პარტნიორი ორგანიზაცია** - დამსაქმებელი კომპანია, სხვა იურიდიული პირი, ან ადმინისტრაციული ორგანო, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის ან/და პროგრამის ერთობლივად განხორციელების თაობაზე.

რ) **მართვის სისტემა** - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

მუხლი 3. წესის მიზანი

წინამდებარე წესის მიზანია პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცესის რეგულირება, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, ინკლუზიურობის და აპლიკანტთა ინტერესებზე ორიენტირებით.

მუხლი 4. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1. დაინტერესებული პირის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, კოლეჯი, მიმართვის შემთხვევაში, ვალდებულია დაინტერესებულ პირს:

ა) გააცნოს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები;

ბ) მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ;

გ) მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამაზე ამ წესით გათვალისწინებული რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს რეგისტრაციაში.

2. გარდა ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, კოლეჯი ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია გასაწევი საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა,

პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ.

3. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის დაუშვებელია საფასურის დადგენა.

4. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მიმართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში ან/და ღია კარის ჩატარების დროს.

5. დაინტერესებულ პირთა კონსულტაციებს კურირებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

მუხლი 5. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;

ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;

გ) შერჩევა;

დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა;

ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 6. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, კოლეჯი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად, სადაც ასახავს ინფორმაციას კოლეჯის, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა შერჩევის ძირითადი და დამატებითი მეთოდებისა და სხვა პირობების შესახებ.

2. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი

განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, კოლეჯი კანონმდებლობით დადგენილი წესით აცხადებს მიღებას ორი სასწავლო გეგმით (სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს და სასწავლო გეგმა, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს), თუ თავისუფალი ადგილების რაოდენობა იძლევა ორი დამოუკიდებელი ჯგუფის ფორმირების შესაძლებლობას.

3. კოლეჯი უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში, დაწესებულებისთვის რეიტინგულ სიაში აპლიკანტთა რაოდენობის ხელმისაწვდომობიდან თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად.

2. აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირს ეზღუდება პროგრამაზე რეგისტრაციის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი არის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტი.

3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

4. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი, სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.

5. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინებით, შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით.

6. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში, ვადის გასვლის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

მუხლი 8. აპლიკანტთა შერჩევის წესი

1. აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების პროცესს.

2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.

3. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევისა.

4. კოლეჯის დირექტორი ყოველწლიურად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არეგულირებს - საბაზო და საშუალო (მათ შორის ინტეგრირებულ) საგანმანათლებლო პროგრამებზე, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება და იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში შემდეგ საკითხებს:

ა) აპლიკანტთა შეფასების ვადებს;

ბ) კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების მეთოდებს და ეტაპებს;

გ) შესარჩევი და საapელაციო კომისიების ფორმირების საკითხს, რომელიც გამორიცხავს მხოლოდ კოლეჯის წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და ითვალისწინებს პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას;

დ) აპელაციის ვადებს;

ე) საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს და კოლეჯის მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.

5. კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების თარიღებს, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა კოლეჯი განათავსებს ვებ-გვერდზე, ხოლო რეესტრის წარმოების სპეციალისტი ასახავს მართვის საინფორმაციო სისტემაში.

6. კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების თარიღების შესახებ ინფორმაციას შესაბამის პროგრამაზე შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 დღით ადრე აცნობებს აპლიკანტს, აპლიკანტის მიერ რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონის ნომერზე ან/და ელექტრონულ ფოსტაზე.

7. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. აპლიკანტი, რომელიც ვერ გადალახავს, შეფასების რომელიმე ეტაპით განსაზღვრულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კარგავს კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

8. აპლიკანტს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახულად ჩაეთვლება, თუ ის დააგროვებს შეფასების კონკრეტული ეტაპისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვრად დაწესებულ ქულას ან მეტს.

9. აპლიკანტთა შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის გაგრძელების უფლებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

10. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესითა და

პირობებით უზრუნველყოფს აპლიკანტის შეფასებას განსხვავებულ თარიღებში.

11. აპლიკანტს, რომელიც კოლეჯის მიერ განსაზღვრულ თარიღში ვერ ახერხებს კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შეფასებაზე გამოცხადებას, უფლება აქვს, შეფასების თარიღამდე არაუგვიანეს 2 დღით ადრე, კოლეჯს მიმართოს წერილობითი განცხადებით, განსხვავებულ თარიღში შეფასების მოთხოვნით. შესაძლებელია განცხადების ელექტრონული ფორმით წარმოდგენა მისამართზე: nona_gudushauri@mermisicollege.edu.ge.

12. აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფა ასევე დასაშვებია, თუ, ის ობიექტური მიზეზების გამო ვერ გამოცხადდა კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შეფასებაზე. განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის მოთხოვნით აპლიკანტს/კანონიერ წარმომადგენელს/მხარდამჭერს უფლება აქვს არაუგვიანეს მინისტრის მიერ დადგენილი შერჩევის ეტაპის დასრულებამდე ათი დღით ადრე წერილობით მიმართოს კოლეჯს, ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების დასაბუთებით. შესაძლებელია განცხადების ელექტრონული ფორმით წარმოდგენა მისამართზე: nona_gudushauri@mermisicollege.edu.ge

13. საპატიო მიზეზი, რომელიც აპლიკანტს აძლევს განსხვავებულ თარიღში შეფასების უფლებას, არის:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც გამორიცხავს შეფასების პროცესში აპლიკანტის ჩართვის შესაძლებლობას;

ბ) სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების თარიღების დამთხვევა.

გ) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც გამორიცხავს კოლეჯის მიერ დადგენილ თარიღში შეფასების პროცესში აპლიკანტის მონაწილეობის შესაძლებლობას.

14. აპლიკანტი, რომელიც ვერ ახერხებს კოლეჯში გამოცხადებას, შესაძლოა, შეფასდეს დისტანციური ონლაინ პლატფორმის გამოყენებით (მოტივაციური გასაუბრების შემთხვევაში).

15. აპლიკანტის შეფასების განსხვავებული თარიღები განისაზღვრება მინისტრის მიერ დადგენილი შერჩევის ვადების ფარგლებში.

16. აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენის მიზნით კოლეჯი ახორციელებს აპლიკანტების შეფასებას ამ მუხლის შესაბამისად.

17. აპლიკანტების შეფასება განხორციელდება შესარჩევი კომისიის მიერ, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით წინასწარ დამტკიცებული ფორმებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.

18. შეფასება არის დიფერენცირებული და ითვალისწინებს:

ა) მოტივაციურ გასაუბრებას;

ბ) შემოქმედებით ტურს.

მუხლი 9. შესარჩევი კომისია

1. აპლიკანტების შერჩევა ხორციელდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი შესარჩევი კომისიის მიერ.

2. შესარჩევი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

3. შესარჩევი კომისია შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 6 წევრისაგან: თავმჯდომარე (შერჩევის ადმინისტრატორი) და წევრები:

ა) კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელ(ებ)ი;

ბ) პარტნიორი ორგანიზაციის წარმომდგენელ(ებ)ი;

გ) საჭიროების შემთხვევაში კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შევიდეს სხვა მოწვეული პირი, რომელიც განახორციელებს აპლიკანტის შეფასებისათვის საჭირო ტექსტების შედგენას, აუდიოჩანაწერის გაკეთებას და აპლიკანტის შეფასებას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს გაწეული მომსახურებისათვის მიეცმა ანაზღაურება.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი პასუხისმგებელია აპლიკანტის ნაშრომის კვალიფიციურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად შეფასებაზე.

6. შესარჩევი კომისიის წევრების შესახებ ინფორმაცია კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტის მიერ შერჩევის თარიღამდე აისახება მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში.
7. შესარჩევი კომისიის თავმჯდომარე - (შერჩევის ადმინისტრატორი) ნიშნავს მდივანს, რომელიც ახდენს შესარჩევი კომისიის სხდომის დაოქმებასა და შედეგების დირექტორისთვის მიწოდებას.
8. შესარჩევი კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობაში შემავალი 3 წევრი.
9. მოტივაციული გასაუბრებისას შესარჩევი კომისიის წევრების მიერ შეფასების შედეგების შეტანა მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამის ელექტრონულ ბაზაში ხორციელდება შერჩევის მიმდინარეობისას. შემოქმედებითი ტურის შემთხვევაში კი - შეფასების დღის 24:00 საათამდე.
10. აპლიკანტის მიერ მიღებული შერჩევის ქულები აისახება აპლიკანტის პროფილზე სარეგისტრაციო სისტემაში (აპლიკანტის პირად გვერდზე), რომელიც იქმნება რეგისტრაციის პროცესში, ასევე აპლიკანტს შეუძლია წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მიიღოს აღნიშნული ინფორმაცია კოლეჯში.
11. შესარჩევი კომისიის საქმიანობა აისახება შესარჩევი კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს დამსწრე ყველა პირი. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
12. შესარჩევი კომისიის წევრები ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ.
13. შესარჩევი კომისის მიერ გაწეული საქმიანობა დადებითად შეფასდება, თუ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ მოჰყოლია სააპელაციო კომისიის განხილვა, ან სააპელაციო კომისიის განხილვის შემდეგ არ შეიცვლილა შესარჩევი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 10. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შეფასებაში მონაწილე აპლიკანტის და კოლეჯის უფლება-მოვალეობები

1. შეფასების ჩატარების მიზნით აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს კოლეჯში რეგისტრაციაზე და თან იქონიოს საგამოცდო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. აპლიკანტმა შეფასებაზე გასვლის მიზნით უნდა გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციისას აპლიკანტი წარადგენს: პირადობის (ბინადრობის) მოწმობას/პასპორტს, ხოლო ასეთის არქონის შემთხვევაში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ სათანადო წესით დამოწმებულ განაცხადს/განცხადება-ანკეტას, რომელშიც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი. ასევე, აპლიკანტი წარადგენს სარეგისტრაციო სისტემიდან (აპლიკანტის პროფილიდან) ამობეჭდილ საგამოცდო ბარათს.
3. შერჩევის რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აპლიკანტი შერჩევაზე არ დაიშვება.
4. შეფასებაზე გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება 30 და მეტი წუთით აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი შეფასების ჩატარება, მიუხედავად იმისა, გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება გამოწვეულია საპატიო მიზეზით თუ არა.
5. შეფასების დროს აპლიკანტს უფლება აქვს თან იქონიოს:

ა) წყალი;

ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;

გ) საჭიროების შემთხვევაში სხვა ნივთები (მაგ. სუნთქვის აეროზოლი, მედიკამენტები და სხვა) საკონკურსო კომისიის თანხმობით.

6. შეფასების დროს აპლიკანტს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების და სხვათა გამოყენება, გარდა კოლეჯის მიერ შეთავაზებული ნივთებისა;

გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა აპლიკანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
დ) შეფასების ადგილის უნებართვოდ დატოვება.
7. შეფასების ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ საკონკურსო კომისიასთან შეთანხმებით, თანმხლებ პირთან ერთად.
8. შეფასების დროს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში აპლიკანტი მიიღებს გაფრთხილებას, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების პროცესიდან და არ მიეცემა საბოლოო შეფასების ქულა, რაზეც გაფორმდება შესაბამისი ოქმი.

მუხლი 11. შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი

1. შეფასებისას წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც კოლეჯის, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.
2. შერჩევისას აპლიკანტს უფლება აქვს მიმართოს სააპელაციო კომისიას მოტივაციური გასაუბრებისათვის გაწერილი კრიტერიუმებისა და შემოქმედებითი ტურის ფარგლებში შესასრულებელი დავალების შეფასების კომპონენტში, შერჩევის თარიღიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.
3. სააპელაციო კომისიის მიერ განცხადება (საჩივარი) განხილული უნდა იქნას მისი წარდგენიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.
4. საპრეტენზიო განცხადებაში უნდა იყოს მკაფიოდ მითითებული პრეტენზიის შინაარსი. წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ განიხილება სააპელაციო კომისიის მიერ.
5. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს შერჩევის კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობას იღებდა აპლიკანტის გასაუბრებასა და შემოქმედებითი ტურის შეფასებაში.
6. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის ხმა.
7. სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სხდომაზე დამსწრე წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს, რომელსაც უფლებამოსილება უწყდება სხდომის დასრულებისთანავე.
8. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე წევრები. სააპელაციო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
9. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აისახება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმში და შემდგომი რეაგირებისათვის ეგზავნება აპლიკანტთა შესარჩევ კომისიას.

მუხლი 12. შერჩევა საბაზო და საშუალო (მათ შორის ინტეგრირებულ) საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული წინამდებარე წესით.
2. თითოეულ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით. შერჩევა ხორციელდება მინისტრის მიერ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.
3. მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში კოლეჯი, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.

4. მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.
5. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებითნ რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება კოლეჯის მიერ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს.
6. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა იმ შემთხვევისა თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.
7. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

მუხლი 13. შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე და ასევე მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად შეფასება შესაძლოა განხორციელდეს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გზით.
2. იმ შემთხვევაში თუ კოლეჯი შერჩევის ძირითად მეთოდად განსაზღვრავს ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებას, აღნიშნული რეესტრის სპეციალისტის მიერ აისახება ანკეტა-კითხვარის შევსების ეტაპზე.
3. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი.
4. კოლეჯი უფლებამოსილია ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების შეფასების გარდა, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შერჩევის დამატებითი მექანიზმები წინამდებარე წესის შესაბამისად.
5. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კოლეჯი უფლებამოსილია არ დაუშვას აპლიკანტი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევაზე.
6. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს კოლეჯის მიერ შერჩევისთვის დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს ან ცენტრის მიერ ტესტირებისთვის გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას.
7. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საბოლოო შედეგის გაანგარიშების მიზნით, მართვის სისტემა უზრუნველყოფს ტესტირებისა და კოლეჯის შეფასების შედეგების განთავსებას ერთიან სკალაზე, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მეთოდით. თითოეული შეფასების შედეგის ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.
8. იმ საშუალო პროფესიულ პროგრამისთვის, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და კოლეჯის შეფასების საბოლოო შედეგებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით.

9. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და კოლეჯის შეფასების საბოლოო შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სოციალური სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით.
10. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა იმ შემთხვევისა თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.
11. უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განათლების მიღწეული დონის მიხედვით:
ა) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
ბ) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან უმაღლესი განათლება.
12. იმ შემთხვევაშინ თუ ამ მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული რეიტინგული სიის შედგენისას აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
13. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

მუხლი 14. შერჩევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (შემდგომ– რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებული პროგრამა) აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ამ წესით.
2. აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით შერჩევა ხორციელდება მინისტრის მიერ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შერჩევის პერიოდში.
3. კოლეჯი მინისტრის მიერ განსაზღვრულ შერჩევის პერიოდში უზრუნველყოფს სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
3. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას.
4. კოლეჯი რეიტინგულ სიას ადგენს აპლიკანტის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.
5. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

მუხლი 15. სსსმ პირთა შერჩევა
1. თითოეული პროგრამის ფარგლებში, სსსმ პირებისათვის განსაზღვრულია კვოტა - ჯგუფის საერთო რაოდენობის 15%.

2. აღნიშნული კვოტა აუცილებლობით არ მოქმედებს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.
3. სსსმ პირების პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ეტაპების დაცვით, აღნიშნული ეტაპებისათვის განსაზღვრულ ვადებში, პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე.
4. პრაქტიკული მოსინჯვისას აპლიკანტს შესაძლებლობა ეძლევა პრაქტიკულად მოსინჯოს მის მიერ შერჩეულ და დარეგისტრირებულ პროგრამასთან დაკავშირებული რამდენიმე ტიპური აქტივობა და მიღებულ გამოცდილებაზე რეფლექსიის შედეგად, გააკეთოს მისთვის საუკეთესო პროფესიული არჩევანი.
5. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სსსმ აპლიკანტს, რომელიც:
ა) პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს;
ბ) გათვალისწინებულ იქნას აპლიკანტის რეგისტრაციის დრო (თვე, რიცხვი, საათი, წუთი, წამი).

მუხლი 16. რეიტინგული სიის შედგენა, პროგრამაზე ჩარიცხვა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება

1. კოლეჯი ახორციელებს აპლიკანტების ჩარიცხვას პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:
ა) 70%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
ბ) 30%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.
3. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და კოლეჯში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.
4.კოლეჯში ჩარიცხვამდე და ხელშეკრულების გაფორმებამდე აპლიკანტი ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობელმა/კანონიერმა წარმოადგენელი ვალდებულია კოლეჯში ჩასარიცხად წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) აპლიკანტის ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმოადგენლის წერილობითი განცხადება.
ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) აპლიკანტის არასრულწლოვნების შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) 1 ცალი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3x4-ზე;
დ) საბაზო საფეხურის/სრული ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების

ან/და სრული ზოგადი განათლების დამლევის გარეშე, თუ სრული ზოგადი განათლება პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს;
ზ) პირის (აპლიკანტი) მიერ უცხოეთში ან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების მიღების შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ (დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი).
თ) 17 წელს მიღწეული აპლიკანტის შემთხვევაში (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. კოლეჯი უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დამლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.
6. კოლეჯში ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მატერიალური სახით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, აპლიკანტი/მშობელი/კანონიერი წარმოადგენელი ობიექტური მიზეზების გამო (ფორსმაჟორული სიტუაცია) ვერ ახერხებს ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის მატერიალური სახით წარდგენას.
7. ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული სახით კოლეჯის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე nona_gudushauri@mermisicollege.edu.ge გამოგზავნით.
8. ამ მუხლის მე-4 პუნქტის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში აპლიკანტი კარგავს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას და მის ადგილს დაიკავებს რეიტინგულ სიაში რიგით შემდეგი აპლიკანტი.
9. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.
10. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, კოლეჯს შესაბამის პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.
11. კოლეჯი მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული რეიტინგული სიის შესაბამისად, აპლიკანტების მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე და ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვას და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებას და აფორმებს მათთან ხელშეკრულებას.
12.რეესტრის სპეციალისტი კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამაზე ჩარიცხულ პირთათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაციას ასახავს პროფესიული განათლების მართვის სისტემაში.